

წეს-განგება

ივერიის დედა ღმრთისმშობლის ხატისა,

პორტაიტისად წოდებულისა

მცირე მწუხრსა ზედა

უფალო ღალად-ვყავსა ზედა, დასდებელნი, კმაჲ 1

მოვედით, ყოველნი მორწმუნენო, და ვადიდოთ დედოფალი ღმრთისმშობელი, მფარველი ნათესავისა ჩუენისაჲ, გარემოვადგეთ პატიოსანსა ხატსა მისსა, სიყუარულითა ამბორს უყოთ და უგალობოთ: გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო; გიხაროდენ, მადლისა ღმრთისა დედაო; გიხაროდენ, მკსნელო და მფარველო სულთა ჩუენთაო; გიხაროდენ, მთაო ათონისაო, დიდებაჲ უფლისა შენზედა გამობრწყინდა, რამეთუ ვარსკულავი მოტყინარს მოიწია აღმოსავალით დასავალად, სუეტსა ზედა ცეცხლოვანსა გამოგზნდა ხატი ღმრთისა დედისაჲ, რომელმანცა მოსლვითა თუსითა ცისკროვან-ყო ათონი.

ვითარცა ოდესმე მოსეს გამოუჩნდა სინას მაყული ცეცხლითა მოტყინარს და უვნებელად დაცული, ეგრეთცა ყოვლადუბიწოჲ ხატი ესე შეიმოსს ცეცხლსა და შთების შეუწველ, წმიდაჲ ყოფს რწმენით მხილველთა მისთა.

რომელმან მრავალ-პატიოსანი ხატი შენი მიუბოძე ივირონსა, ეგრეთვე უნუგემოდ არა დაგუტვეენ მკვდრნი წილხვედრისა შენისანი, ქალწულო, და ვიდრე ჟამადმდე, მის წილ ამბორს-უყოფთ საკვრველთა პირთა მისთა, შენმიერთა მფარველობითა განდიდებულთა.

მოვედით ერნო ქართველთანო, აღმოვივსოთ დაუწყვედელი იგი მადლი ხატისაგან ღმრთისა დედისაჲ, რომელი ცეცხლებრ ბრწყინავს, და შევიტკობთ სარწმუნოებითა და სიყუარულითა, რამეთუ იგი დიდებითა მონიჭების ერსა ჩუენსა ზღუდელ და მცველად, და მფარველ გუექმების ჩუენ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან.

დიდებაჲ... აწდა... კმაჲ 5

მოვედით სიხარულით და თაყუანის-ვსცეთ სასწაულთმოქმედსა და ყოვლადპატიოსანსა ხატსა ღმრთისა დედისასა, რომელი მიუბოძა სავანესა ივერიისასა მცველად მიურულებელად და უძლეველად, რამეთუ იცავს იგი თუსითა საფარველითა წმიდასა ამას სავანესა და ყოველთა მკვდრთა ათონისაჲთა და მომადლებს უხვსა საბოძვარსა წყაროსაგან ულევისა მადლისა ყოველთა პატივისმცემელთა ამა საკვრველისა ხატისაჲთა. რომლისათუსცა უგალობთ ღმრთისმშობელსა: გიხაროდენ, შემწეო სოფლისაო და ნუგემინისმცემელო სულთა ჩუენთაო.

ნათელი მხიარული. გამოუსვლელად,

წარდგომაჲ: ღმერთმან ჩუენმან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რაჲცა უნდა ჰქმნა;

და ღირს მყენ ჩუენ, უფალო;

სტიქარონსა ზედა დასდებელნი, კმაჲ 2

უბიწოო სამკვდრებელო ნათლისა ყოვლადწმიდისაო, ღმრთისმშობელო, გადიდებთ შენ და გიგალობთ მონანი შენნი, რამეთუ გამოცხადებითა ყოვლადწმიდისა ხატისაჲთა განგვწმენდ ჩუენ;

მუკლი: აღსდგე, ღმერთო, განსვენებელად შენდა, შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისაჲ.

დიდებაჲ შენდა, ქრისტე მეუფეო, დიდებაჲ უხვმოწყალებასა შენსა ჩუენდა მომართ, რამეთუ მოგუანიჭენ ჩუენ ხატი ყოვლად წმიდისა დედისა შენისაჲ, რომელი გვწყალობებს ნაკადულსა თუსისა დაუღვენელისა მადლისასა.

მუკლი: ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყო იგი.

კეთილმორწმუნენო ერნო, დღეს ვიხარებდეთ და ბრწყინვალედ ვდღესასწაულობდეთ დაფარულსა მოსლვასა ღმრთისა დედისა ხატისასა, და ვინაჲცა სარწმუნოებით აღვიარებთ მას მცველად ჩუენდა, ღმრთისმშობლისადმი ღალად-ვჰყოთ: დაგვიფარე ჩუენ ყოვლისაგან ბოროტისა და აცხოვენენ სულნი ჩუენნი.

დიდებაჲ... აწდა...

მივეახლოთ მეუდროსა ნავსაყუდელსა და მფარველსა ერისა ჩუენისასა ქალწულსა მარიამს, თაყუანის-ვსცეთ ანგელოზთაგან პატივცემულსა სახესა მისსა და ღმობიერად კმა-ვჰყოთ: მოხედე, კეთილმოწყალეო დედაო, ფიცხელთა მწუხარებათა ზედა გარემოდგომილთ ჩუენდა და განჰკურნე უძლურებანი სულთა ჩუენთანი.

ტროპარი, კმა 1

სიღალს მოძულეთა ხატისა უფლისადათა და მძლავრებაა არაწმიდათა უღმრთოთაჲ, უმოწყალოდ დაემკვდრა ნიკიას, და მოიწიეს სატანჯველად ქურივისა, ღმრთისმშობლის ხატისა კეთილმსახურებითა პატივისმცემელისა, ხოლო მან ძითურთ თვისით მიუბოძა ზღუასა ხატი იგი და ესრეთ ღალად-ყო: დიდებაჲ შენდა, წმიდაო, ზღუაჲ მღელვარს მწე შენდა გექმნეს, დიდებაჲ მსვლელობასა შენსა, უხრწნელო.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ტროპარი II, კმა 1

წმიდისაგან ხატისა შენისა, ზ, დედოფალო ღმრთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი უხუად მოეცემიან ყოველთა სარწმუნოებითა და სიყუარულით მისდა მოლტოლვილთა, ამისთჳს ჩემსაცა უძღურებასა მოხედენ და შეიწყალე სული ჩემი, სახიერო, ხოლო კორციითა განმკურნე მადლითა შენითა, ყოვლადწმიდაო.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

კეთილსახელოვანი და ყოვლადწმიდაჲ ხატი შენი, ვითარცა თავსმდები გამოქსნისა ჩუენისაჲ, განგებულებითა გუებობა ჩუენ, უხრწნელო, რომელიცა რაჟამს დაიუნჯა მონასტერმან იბერთამან, განერა იგი, შენ მიერ, ყოვლისაგან სავნებელისა და მისთანა აღივსების, ქალწულო, სასოებითა წარუკუეთელითა, და ყოველნივე, რომელნი მოვლენან შენდა.

კვერექი მცირე და განტეება.

დიდ მწუხრსა ზედა

ვგალობთ ნეტარ-არს კაცსა, I აღსავალსა.

**უფალო ღალად-ვყავსა ზედა,
დასდებელნი მუკლი 8. კმა 5.**

განბრწყინდი მთაო ათონისაო, იხარებდ და იშუებდ სავანეო ივერიისაო, რამეთუ აჰა, ესერა მოვალს ანგელოზთა მიერ ზღუთ მოძღუანებული საკურველი ხატი ღმრთისა დედისაჲ, ნათლითა გამოუთქმელითა მღელვარს, ჭირთა და მწუხარებათა წყუდიადისა განმდევნელი და შარავანდელითა მოწყალეებისა თვისისადათა ყოველთა განმანათლებელი.

შეგვირდებით, შენ, დედოფალო, მონაზონნი და კრებულნი მმარხველთანი და სიყუარულითა მხედველნი წმიდისა ხატისა შენისანი გიღალადებთ შენ: მოვედ ჩუენდა, დედაო სახიერო, შეგვწყალენ პატივისმცემელნი შენნი და მოგუანიჭენ ჩუენ წმიდაჲ ხატი შენი წინდად მოწყალეებისა და ცხორებისა.

ჰ, ყოვლადდიდებული საკურველი, ვითარცა ოდესმე სინას იხილნა მოსე მაყუალი ცეცხლითა მოტყინარე და უვნებელად დაცული, ეგრეთვე აწ ხატი ესე ღმრთისა დედისაჲ შეიმოსს ცეცხლსა და ჰგიეს შეუწყველ, ხოლო ბნელსა შინა მყოფთა განგუანათლებს და უვნებელ გვყოფს ჭირთა და ურვათაგან.

ღმრთისმშობელო ქალწულო, ძლიერო შემწეო, აწ სავანე ივერიისაჲ შენ მიერ იქადის და იხარებს, რამეთუ აქუ შენ შუამდგომელად ურცხვენელად, ზღუდედ დაურღვეველად, საძირკველად შეურყვეველად და მცველად მიურულებელად, ვინაჲ ნუ დააცადებ შენითა ვედრებითა, დედოფალო, მარადის კსნად სავანისა ამის შენისა და ყოვლისა ერისა ზედა მოსლვათაგან მტერისა.

სასოებაჲ მოგუმაღლე განსაცდელსა შინა მყოფთა მონათა შენთა და რქაჲ მორწმუნეთაჲ აღამაღლე, ღმრთისმშობელო, იქსენ ვედრებითა შენითა სავანე ესე და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი საქართველომსანი, განაძლიერენ მსახურებასა შინა ყოველნი სამღელელონი და სამონაზნო წესნი, ხოლო ყოველთა მორწმუნეთა მონათა, მაქებელთა შენთა მფარველ გუექმნენ.

ყოვლადწმიდაჲ ხატი შენი, ქალწულო, ღმრთისმშობელო, არს საკურნებელი ყოვლისა სოფლისაჲ, რომლისადა მიახლებულნი და შიშითა და სარწმუნოებით შენდა თაყუანისმცემელნი, უბიწო, ხატსა შენსა ამბორს-უყოფთ და მადლსაცა კურნებათასა აღმოვივსებთ და განვთავისუფლდებით სულიერთა და კორციელთა უძღურებათაგან.

აწ სავანე ივერიისაჲ ნათელმოსილი განშუენდების დღეს, დღესასწაულსა გამოცხადებისა შენისასა და უფროდს მზისა ნათლისა განბრწყინდების მადლითა სულისა წმიდისადათა და

იქმნების, ვითარცა წყაროდ უკუდავებისა და სნეულთა და უძლურთათვის და ყოველთათვის მომნიჭებელი აღურაცხელთა წყალობათა.

დიდება... აწლა... კმა 8

ჴ, დედაო სახიერო, დედოფალო ღმრთისმშობელო ქალწულო, ნუ განმაგდებ ჩუენ მდაბალთა მონათა შენთა, მომძღუნელთა უღირსთა ვედრებათა ყოველადწმიდისა ხატისა მომართ შენისა; გვექმენ მკურვალე შუამდგომელ ჩუენ ცოდვილთა ძისა შენისა მიმართ, გუკსენ ჩუენ ყოველთა ჴირთა და განსაცდელთაგან, რაათა მარადის გიგალობდეთ შენ სიხარულით: გიხაროდენ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჴეთა მორწმუნეთად განმღებელო.

შესვლად. წარდგომა დღისა და საკითხავნი:

შექმნათა საკითხავი (დაბადება) თავი 28 (10-17)

განვიდა იაკობ ჯურღმულისა მისგან ფიცისა და წარვიდა ქარრანად. და მიემთხვა ადგილსა ერთსა და დაიძინა მუნ, რამეთუ დაჰვიდოდა მზე. და მოილო ლოდი ლოდთაგან მის ადგილისათა და დაიდვა სასთუნალად და დაწვა ადგილსა მას. და ჩუენებასა იხილვიდა. და აჰა ესერა, კიბენი აღმართებულნი ქუეყანით, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად და ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო მას ზედა. და თქუა: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი მამისა შენისა, ნუ გეშინინ. ქუეყანაჲ ეგე, რომელსა გძინავს, შენ მიგცე და ნათესავსა შენსა. და იყოს ნათესავი შენი, ვითარცა ქუშაჲ ზღუსა და განვრცნეს ჩრდილოდ და ბლუარად და აღმოსავლად. და იკურთხეოდინ შენდაჲი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და ნათესავისა შენისა მიმართ. და, აჰა, მე შენ თანა ვარ დაცვად შენდა ყოველსავე გზასა შენსა, ვიდრეცა ხვდოდი. და მოგაქციო შენ ამასვე ქუეყანასა, რამეთუ არა დაგიტეო, შენ, ვიდრემდე ვჴყო მე იგი, რაოდენსა გეტყოდე შენ. და ვითარცა განიღუდა იაკობ ძილისა მისგან, თქუა, რამეთუ: არს უფალი ადგილსა ამას და მე არა ვიცოდე. და შეეშინა და თქუა: ვითარ საშინელ არს ადგილი ესე. არა არს სხუაჲ ესე, გარნა სახლი ღმრთისაჲ და ესე ბჴმ ჴეცისაჲ.

გამოსვლათა საკითხავი თავი 3 (1-5)

მოსე მწყსიდა ცხოვართა იოთორ სიმამრისა თუსისათა მღდელისა მის მადიამელთასა და მოჰყვანდეს ცხოვარნი იგი უდაბნოდ და მოვიდა მთასა მას ღმერთისასა ქორებად. ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ ცეცხლითა აღისათა მაყოლოვანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყოლოვანსა მას აღატყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწვების. თქუა მოსე: წარვიდე და ვიხილო, ხილვაჲ ესე დიდი რაჲ არს, რამეთუ მაყუალი არა დაიწუების? ვითარცა იხილა უფალმან, რამეთუ მოვალს ხილვად, უწოდა მას უფალმან მაყოლოვანით გამო და ჰრქუა: მოსე, მოსე! ხოლო მან ჰრქუა: რაჲ არს? ხოლო უფალმან თქუა: ნუ მოეახლები აჴა! წარიკადენ კამლნი ფერკთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანაჲ წმიდა არს.

გამოსვლათა საკითხავი თავი 13 (18-22)

მოაქცია უფალმან ერი უდაბნოდ მიმართ ზღუად მიმართ მეწამულად, ხოლო მეხუთე ნათესავი აღმოვიდეს ძენი ისრაჴლისანი ქუეყანით ეგუპტით. და მიიხუნა მოსე ძუალნი იოსებისნი მის თანა, რამეთუ ფიცით აფუცა იოსებ ძეთა ისრაჴლისათა, მეტყუელმან: მოხილვასა მას, რომლითა მოგხედოს თქუენ უფალმან, თანა-აღიხუენით ძუალნიცა ჩემნი ამიერ თქუენ თანა. ხოლო იძრნეს რაჲ ძენი ისრაჴლისანი სოქოთით, წყობა-ყვეს ანათომს შინა უდაბნოდ მიმართ. ხოლო ღმერთი უძლოდა მათ დღისი უკუე სუეტითა ღრუბლისათა ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე – სუეტითა ცეცხლისათა. და არა მოაკლდა სუეტი იგი ღრუბლისაჲ დღისი და სუეტი ცეცხლისაჲ ღამე წინაშე ყოვლისა ერისა.

ლიტსა ზედა დასდებელი, კმა 8

მოვედით დღესასწაულისა მოყუარენო და კრებულნო მმარხველთანო, სარწმუნოებით აჴა შემოკრებულნო! მივართვით გალობანი ქებისანი ქალწულოსა მარიამს, რამეთუ დღეს არს ბრწყინვალე დღესასწაული გამოჩინებისა პატიოსანისა ხატისა მისისა „პორტაიტისასა“, და ჩუენცა გარემოცულნი შიშით და სიყუარულითა უგალობდეთ ღმრთისმშობელსა: გიხაროდენ,

ყოველთაა თვის გამოუთქმელო სიხარულო; გიხაროდენ, წმიდითა ხატითა შენითა ჩუენ ყოველთა განმანათლებელო; გიხაროდენ, ყოველთა სიქადულო და სიმტკიცეო; გიხაროდენ, მაცხოვრებელო სულთა ჩუენთაო.

რამე სახელგდვათ შენ, ღმრთისმშობელო ქალწულო, ცეცხლისა სუეტად, რამეთუ მიგუანიშნებ სამკურებელისადმი საუკუნოდას; ანუ ზღუდედ სიმტკიცისად, რამეთუ შენ გვიცავ მართლმადიდებელთა; ანუ მცველად მიურულებელად, რამეთუ იცავ და აცხოვნებ სავანესა ამას, ამისთვის მოწვეწულთა ჭირთაგან ქსნილნი გიგალობთ, დედოფალო: გიხაროდენ, მადლთა მომნიჭებელო; გიხაროდენ, ქრისტეანეთა სასოებაო.

დიდებაა... აწლა...

იხარებდ, მთაო ათონისაო, განსცხრებოდე სავანეო ივერიისაო, და დღესასწაულობდ ქუეყანაო ქართველთაო, რამეთუ წყალობითა მოგუხედნა ღმრთისა დედამან და მოგუანიჭა ჩუენ საკურველთმოქმედი ხატი თვისი, შემწედ ჭირთა შინა, ნუგეშად მწუხარებათა, მკურნალად სნეულებათა და გამოქსნიელად ვნებათაგან, ხოლო ჩუენ ყოველთა მოგუმაღლებს დიდსა წყალობასა.

სტიქარონსა ზედა დასდებელი. კმაჲ 4

გამოჩინებასა დიდებულისა ხატისა შენისასა დიდებისგმეტყუელებთ დღეს, უბიწოო ღმრთისმშობელო, და შუამდგომლობასა შენსა ვდღესასწაულობთ, რამეთუ შენ, დედაჲ ეგე ცხორებისაჲ ევედრები ქრისტესა მეუფესა ჩუენთვის, რომელთა ესე დაგვიძს მტკიცე სასოებაჲ შენზედა, ჭეშმარიტო წინამძღუარო ცხორებისა ჩუენისაო.

მუკლი. მოვიქსენო სახელი შენი ყოველსა შორის თესლთა და თესლთა.

დაუტეოთ, მორწმუნენო, მწუხარებაჲ, რამეთუ აჰა, ესერა მეორე ცეცხლმგზებარჲ მყუაილი – ხატი ღმრთისა დედისაჲ, რომელსა ხედვენ მონაზონნი ათონისნი, გამოჩნდების აწ განმწმედელად ცოდვილთა.

მუკლი. ისმინე ასულო და იხილე და მოჰყავ ყური შენი.

ნიშნად წინამძღოლობისა შენისა სუეტითა ცეცხლისაჲთა გამოგვეცხადე ჩუენ, დედაო ნათლისაო, გზასა ამას ცხორებისასა მავალთა, რაჲთა განლტოლვილთა უგზოდასაგან ცთომისა წარგუძღუე საუკუნეთა საყოფელად.

დიდებაა... აწლა...

მოვედით ყოველნი მონაზონნი და საერონიცა, რაჲთა ვადიდოთ ყოველადუბიწო ქალწული ღმრთისმშობელი, რამეთუ უღელვოდ დელვათა ზედა მცურვალი ხატი ცეცხლისა სუეტითა შემოსილი განვიდა ნიკიით ათონად, პონტოდასა ზღვთა და მოსლვითა თვისითა მადლი იგი თვისი მორწმუნეთა მიანიჭა, ხოლო ჩუენცა განათლებულნი წყალობისა მისისა შარავანდელითა, შუამდგომელსა ცხორებისა ჩუენისასა ვნატრიდეთ.

ცისკრად.

შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა, კმაჲ 1

ყოველადბრწყინვალისა სახისა შენისა გამოცხადებაჲ სიხარულსა მიჰვენს ყოველთა მორწმუნეთა, ხოლო სავანესა ივერიისასა მიანიჭებს მცველსა დაუძინებელსა და ჭირთაგან მქსნელსა, ამისთვისა გიგალობთ შენ, ყოველადწმიდაო, მარადის დაგუფარე ჩუენ საფარველითა შენითა.

დიდებაა... აწლა...

ესე არს დღე უფლისაჲ, გიხაროდენ ერნო, რამეთუ აჰა, ესერა ნათლითშემოსილი ღრუბელი ზეცას განერთხა საკურველად და სუეტად ცეცხლისად წარმოუჩნდა ათონს, მხოლოდ, მხოლოდასა კელთა ზედა დედობრივთა მტურთველი, ქრისტჲს, სოფლისა შემოქმედისა, მაცხოვრად სულთა ჩუენთა.

შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა, კმაჲ 3

განსცხრებიან დღეს ბრწყინვალედ ათონისა სამწყსონი, შესთხზვენ გალობათა მრავალთა, სიყუარულითა პატივისმცემელნი ყოველადუბიწოისანი და განშუენდებიან დიდებითა მადლისაჲთა, რომელი მოეცა მათ მისლვითა წმიდისა ხატისაჲთა, რომელი ცისკრითა ღმრთისმცნობელობისაჲთა განანათლებს კეთილმსახურებითა მგალობელთა თვისთა.

დიდებაა... აწლა...

საკურველი დიდებული იხილვების დღეს: ვითარ წყალთა შინა ცეცხლმნთებარჲ ხატი საღმრთოდასა ყრმისაჲ გუეჩვენების და ნიშნა შარავანდელსა განჰვენს და მმარხველთა

ლუწასაცა საკრველებითა შეამკობს, ამისთვისცა ჩუენ მადლობით უგალობთ: გიხაროდენ, მიმადლებულო.

წინეთ სადიდებელისა, წარდგომაი, კმაჲ 8

დიდებულებანი შენნი ვინმე მოუთხრნეს, ღმრთისმშობელო, რამეთუ გამოცხადებთა ხატისა შენისაათა განაკრვენ ყოველნი მართლმადიდებელნი, რამეთუ უძლურებათა სიმრავლესა ჰკურნებ და სნეულებათა განსდევნი. ჰ, ყოვლადმოწყალეო დედოფალო, ნუ მოგუჰაკლებ ჩუენ შეწვევნასა შენსა, არამედ დაგვიფარე ვედრებითა შენითა და აცხოვნე კეთილმორწმუნე ერი ჩუენი, და ქრისტესმოყუარს მკედრობაი ძალითა შენითა დაიცევ, რათა შენმიერ მოქადულთა და შენზედა ყოვლისა სასოებისა დამდებელთა არა გვრცხვენოდეს უკუნისამდე.

დიდებაჲ... აწდა... იგივე.

სადიდებელი

გადიდებთ შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, ღმრთივადრჩეულო ყრმაო, და პატივს ვსცემთ წმიდასა ხატსა შენსა, რომლითა კურნებასა უწყაროებ ყოველთა სარწმუნოებითა შენდა მოლტოლვილთა.

(3-გზის).

აღსავალი I, 4 ხმისა;

წარდგომაჲ და სახარება (იძიე 8 სექტემბერს)

შემდგომად 50-ე ფსალმუნისა, გერი სახარებისაჲ.

რაჟამს იქმნა გამოცხადებაჲ საკრველისა ხატისა შენისაჲ, მაშინ მამანი ათონელნი მხილველნი ზღუასა შინა სუეტისა ცეცხლისასა, განცვიფრდეს შიშნეულნი, ხოლო გაბრიელ, ვითარცა მეორე პეტრს, წყალთა ზედა ვილოდა და ცრემლით გიდაღადებდა შენ: ჰ, ყოვლადწმიდაო, მოვედ და დაიფარე სამკურნებელი შენი მტერთაგან უსაცთუროდ.

კანონი ღმრთისმშობლისანი, მუკლი 6.

გალობაი 1, უგალობდითსა, კმაჲ 8

ძლისპირი: ეტლთა მფლობელი ფარაო დაანთქა საკრველთმოქმედმან კუერთკმან მოსესმან, რომელმან გამოსახა სახე ჯუარისაჲ და განუპო ზღუაჲ მეწამული და ისრაელი იქსნა განმაგალად, მეტყუელი გალობასა უფლისასა: რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

ჰ, ყოვლად უბიწოო, მიიღე შეგინებულთაგან ბაგეთა ჩემთა ქებაჲ ესე, ვითარცა პირველ ძემან შენმან და ღმერთმან ჩემმან უფალმან შეიწირა ორნი იგი წულილნი ქურივისანი და ქსნაჲ ცოდვათა ჩემთაჲ მომძაღლე მე, რათა მარადჟამს გადიდებდე შენ, ქალწულო.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

შენდა შემსგავსებულ არს ანგელოზთა გალობაჲ, ღმრთისა დედაო, რამეთუ თავად ჰმევ საკრველად შემოქმედი მათი, გარნა ჩუენიცა მიიღე, ჰ, დედოფალო, მდაბალი ესე ვედრებაჲ, რათა უგალობდეთ მეუფესა: დიდებითა დიდებულ ხარ უძლურებათა შინა ჩუენთასა.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

ცეცხლი საღმრთოჲ, რომელი გამოვალს ხატით შენისაჲ, ღმრთისა დედაო, დასწვავს ბანაკსა ხატთმბრძოლთასა, და ტკბილსა ნათელსა ძლევათასა მორწმუნეთა მოგუფენს და განგვამტკიცებს.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ღამდოვრდეს წყალნი, დასცხრეს ღელვანიცა ზღუასა შინა ტალღათა, რომელთა მიმოჰქონდის ხატი შენი, ღმრთისმშობელო, განამტკიცენ შერყეული გულიცა ჩემი კლდესა ზედა ქრისტეს მცნებათასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მწე და მფარველ ექმენ, ქალწულო, სავანესა ივერიისასა, რაჟამს დაანთქ ზღუასა შინა მკედარნი ამირასნი ნაგებითურთ მათითა, აწცა დაანთქ ძისა შენისა მოწყალებისა მორვესა ყოველნი ვნებანი და აურაცხელნი შეცოდებანი ჩემნი.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: შენ, დამამყარებელი კამარათა ცისათაო, უფალო და აღმამენებელი ეკლესიათაო, დამამტკიცენ ჩუენ სიყუარულსა შენსა, თავო ყოვლისა სიხარულისაო, და განძლიერებელი მორწმუნეთაო, მხოლოო კაცთ-მოყუარე.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელი კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

აჰა, ესერა დიდად შეუნიერი დახატულებაჲ პორტაიტისაჲ მოიწია ათონითგან ტფილისსა, და დიდითა პატივითა დაბრძანდა ტაძარსა ღმრთისმშობელისასა, დიდებულსა სიონსა, შემწედ ჭირთა შინა, ნუგეშად მწუხარებათა, მკურნალად სნეულებათა და გამოძკსნელად ვნებათაგან.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელი კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

განამტკიცენ გული ჩემი სასოებად შენდამი, ღმრთისა დედაო, განაშორენ ყოველი სილაღლს და ამპარტავნებას დაბნელებულისაგან გონებისა ჩემისა, რაათა გიგალობდე: არავინ არს წმიდაჲ, ვითარ უფალი და არავინ არს მართალ, უფროჲს ღმრთისა ჩუენისაჲ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელი კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

პირისა შენისა ყოვლად წმიდისა და უხრწნელებისა ხატი არს საკურნებელი ყოვლისა სოფლისაჲ, რომლისადა მიახლებულნი და კრძალვით შენდა თაყუანისმცემელნი, უბიწოო, მადლსაცა კურნებათასა აღმოვივსებთ და განვთავისუფლდებით უძღურებათაგან.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აღმდგინენ, დედოფალო, მიწისაგან მე, უბადრუკი, განმაშორენ გლახაკი ესე ცოდვითა განხრწნასა, და მომეც ლოცვაჲ მთხოველსა, რაათა შეწევნასა შენსა ვნატრიდე, ქალწულო პორტაიტისაო.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უნაყოფოჲ გონებაჲ ჩემი ნაყოფიერ ჰყავ, კურთხეულო ქალწულო, შობილო უნაყოფოთაგან, რამეთუ შენ უფროჲს ნაყოფიერ ჰქმნი კეთილად ყოველსა მოვლინებითა ხატისა შენისათა.

წარდგომაჲ

მოიწია დღეს ბრწყინვალე დღესასწაული მფარველისა ჩუენისაჲ, განიხარებენ ყოველნი მართლმადიდებელნი და განსცხრებიან კრებულნი კაცთანი, რამეთუ მოგვწოდებს წმიდაჲ ღმრთისმშობელი ჩუენი ხილვად თვისისა ცეცხლმთებარისა ხატისა, მოწყალებისა შარავანდედითა ყოველთა განმანათლებელისა, და ჩუენცა მოხარულნი ამისა ვლადადებთ: გვქსენ, დედოფალო, სიყმილისაგან, ცეცხლისა, მახჯლისა და ჭირთაგან, პატივისმცემელნი ხატისა შენისა გამოჩინებისანი.

დიდებაჲ...

იხარება საგანე ივერიისაჲ დღესასწაულსა გამოცხადებისა შენისასა, რამეთუ ესევეთარი სასწაული ჩუენებულ იყო შეწევნისათჳს სიყუარულისა ერისათჳს შენდა წილხლომითა, ოდეს ანგელოზთა მიერ ზღვთ მოძღუანებული ნათელციკროვანი ხატი შენი, არაჲ მივიდა სხუასა მონასტერსა, არამედ ივერთასა ღირს იჩინა დავანებაჲ, კელითა გაბრიელ ქართველისაჲთა და მით აკურთხე ათონის უდაბნოსა შინა ახლად-აგებული საგანს იგი ქართველთაჲ.

აწდა...

მეოხი მკურვალე, და შესავრომელი დიდი, და მფარველი მტკიცე და თანამბრძოლი და ზედამხედველი ხარ შენ, პორტაიტისაო, მათჳს, რომელნი ეძიებენ შეწევნასა შენსა; ამისთჳს იქსენ ივინი ყოვლისაგან საბრკისა, ვითარცა აღუთქუ, ყოვლადუბიწოო, მონათა შენთა.

გალობა 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: შენ ხარ, ქრისტე, ღმერთი ჩემი, შენ ხარ ძალი ჩემი, შენ ხარ უფალი ჩემი და სიქადული ცხორებისა ჩემისაჲ, რომელმან არა დააცალიერენ წიაღნი მამულნი ზეცას და

გამოუჩინდი სიმდაბლესა ჩემსა, ამისთვისცა წინაისწარმეტყუელისა ამაკუმის თანა ვიტყოდით: ძალსა შენსა დიდებად, კაცთ-მოყუარედ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

განამზადებდა რაად გზათა საკურველთმოქმედისა ხატისა შენისათა, მოსცა კმათ თვისი უფსკრულმან, შეიდრა მზე და იქმნა ბრწყინვალეებად ხატისაად, ვითარცა ნათელი, აწ შენცა, დედოფალო, მოვედ ქსნად კაცთა და გამოუჩინდი მაცხოვრად სამკვდრებელსა შენსა.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

ესმნეს რაად ცნობაად მოსლვისა შენისაად, განკრთენ მონაზონნი, ზოლო გულისკმაყვეს რაად საქმენი შენნი, განკვრდენ, შეძრწუნებულთცა სული ჩემი წყალობით მოიკსენე, დედოფალო, რაათა გიგალობდე: დიდება შეწვევნასა შენსა, ღმრთისა დედაო.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

მადლისა მოცემისა მნებებელმან ერისათვს ჩუენისა, კუალად გამოგვჩინე ჩუენ ხატოვნებად შენი, რომლისადა მიახლებულნი მსგავსებასა მას შენსა თაყუანის-ვსცემთ და გვედრებით: აჰა, მოვედ აწ და შემოგვკრიბენ მამულნი განბნეულნი, და უჩინე მზღუარი, ყოველთა კაცთაგან უსარჩლედი.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვითარცა ივერთა სავანისა სამწყსონი განშუენდებოდეს მადლითა ხატისა შენისაათა, ეგრეთცა უფროდს მზისა ნათლისა განბრწყინდების ერი ჩუენი მადლითა შენითა, რამეთუ საკურველი ესე პირი ხატისაად იქმნების, ვითარცა წყაროდ უკუდავებისაად სნეულთა და უძლურთათვს და ყოველთათვს მომნიჭებელი დიდთა წყალობათა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ ხარ სიმტკიცე და ძალი ჩემი, ღმრთისმშობელო, რამეთუ დღესა მწუხარებისა ჩემისასა შენმიერვე განვისუენო და შენ მიერვე აღვმადლდე ზეციერსა სამკვდროსა სოფლისაგან ამისა და ვიხარებდე მეუფისა და ღმრთისა, მკსნელისა ჩემისა თანა.

გალობაი 5, ღამითგანსა

ძლისპირი: რაადსათვს განმიშორენ პირისაგან შენისა, ნათელი წარუვალო და დამფარა მე ბნელმან წყუდიადისამან განუნათლებელმან, არამედ მომხედენ და ნათელსა მცნებათა შენთასა წარჰმართე სლვაად ჩემი, გვედრები.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

იხილე, წმიდაო, ღამითგან აღმსობილი ერი შენი სამწყსოდასა შენისა, რომელი გარემოადგების კეთისახელოვანსა ხატსა შენსა და ითხოვს ცოდვათა შენდობასა და საღმრთოდასა დიდებისა ზიარებასა. ნუ განგუადგებ პირისაგან შენისა, დედაო დაუვალისა ნათლისაო.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

აწ მოიხილე, ტკბილო დედაო, მეუფისა ქრისტესსო, შენმიერ გამორჩეულსა ერსა ზედა და სათნო იჩინე აღორძინებად და განმრავლებად და აღვსებად ჩუენდა სულითა სიბრძნისაათა, ურთიერთასისა სიყუარულითა და საღმრთოდასა გულისკმისყოფისაათა.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

სულითა და გონებითა ჩუენითა, სამწყსოსა შენსა სრულიად შერწყმულნი, ფსალმუნთა და საგალობელთა სულიერთა და საღმრთოთა გალობათა მიერ ღმრთებრივსა ხატსა შენსა თაყუანისვსცემთ, შევთხოვთ შენდობასა და ქსნასა სულთა ჩუენთასა, ზოლო შენ, დედოფალო, სძალო უსძლოო, ვითარცა მკურნალმან ჩუენმან ყოველი ესე მოგუანიჭე.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ტაძარი შენი, ქალწულო, ვითარცა სხუად სამოთხედ აწ წარმოდგება, რამეთუ ვითარცა ხესა ცხორებისასა აქუს ხატი შუენიერებისა შენისაად, რომელსაცა ყოველნი სურვილითა, კეთილმოშიშებითა და სიყუარულითა ამბორსუყოფთ და ვიტყვით: დედოფალო, მოგვეც მშვლობაად და დაგვფარენ ჩუენ, რამეთუ თვნიერ შენსა სხუად ნუგეშინისმცემელი არაად ვიცით.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მდინარედ სიტკბოებისად, სავსებად ნაკლისად, ზეცისა მანანად, უხუებად და მადლად მარადის მომცენარედ მოგიგებთ, ყრმაო, მკვდრნი სავანისა ამისანი და ვუგალობთ შობასა შენსა.

გალობაი 6, ღალადყავსა

ძლისპირი: ვედრებასა ჩემსა განვჰყენ უფლისა მიმართ და მას აღუარებ ბრალთა ჩემთა მარადის, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია, და იონაძესებრ ვღალადებ: აღმომიყუანე მე, ღმერთო ჩემო.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

მსწრაფლ გუეწიე, წმიდაო მშობელო გამოუთქუმელო ძისა ღმრთისაო, და ვიდრე აღსრულებადმდე საუკუნისა დაიცევ ივერიაჲ და ერი ივერიისაჲ, რაჲთა არა ჰსთქუან ურიცხვთა მტერთა ჩუენტა, სადა არს ღმრთისმშობელი, რომლისა მიმართ აქუთ სასოებაჲ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

სარწმუნოებაჲ გუაქუს შეუორგულელებლ შენდა მომართ, ქალწულო პორტაიტისაო, და გვეედრებით: მოგვეც კელი შეწევნისაჲ და დაიცევ ქუეყანაჲ, რომელი გამოირჩიე და ეშმაკთა მონებისა და კერაბთ-მსახურებისა გამოიქსენ, რაჲთა სირცხულეულ იქმენ მტერნი ჩუენნი.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

უფსკრულმან უღირსთა შეცოდებათამან გარემომიცვა მე, და დაინთქუმის სული ჩემი, გარნა მომეც, დედოფალო, ძლიერი მკლავი შენი, და ვითარცა გაბრიელ, მეცა მოლტოლვილი ხატისადმი შენისა, უვნებელად დამიცევ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ნუ განმაგდებ მე სრულიად პირისაგან შენისა, დედაო მკსნელისაო, და ნუ მიტევებ მე შთაფლვად უფსკრულსა უშჯულოებისასა, არამედ აღმომიყუანე მე მწვირისაგან ვნებათაძსა, რაჲთა განეშოროს ხრწნასაცა ცხოვრებაჲ ჩემი, და შევსწირვიდე შენდა ქებასა და აღსარებასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მქონებელი შეგინებულისა ამის კორციელისა ტაძრისა, კადნიერად მოვლტი ყოვლად განწმედილისა საუკუნოძსა სიტყვსა ტაძრისად, წინაშე წმიდისა ხატისა შენისა შეწირვად, მდაბალთა ვედრებათა ჩემთა, გარნა შენ, ვითარცა მოწყალემან, განმწმიდე მე კეთილმოწყალეობითა შენითა.

კონდაკი, კმაჲ 8

დაღაცათუ ზღუად შთაგდებულ იქმნა წმიდაჲ ხატი შენი, ღმრთისმშობელო, ქურივისა მიერ, რომელმანცა ვერ ძალიდვა დაფარვაჲ მისი მტერთაგან, გარნა გამოჩნდა იგი მფარველად ათონისა და მეკარედ ივერთა სავანისად; შიშად მტერთა, ხოლო მართლმადიდებელთა საქრისტიანოთა შინა, შენთა პატივისმცემელთა მკსნელად ყოველთაგან ვნებათა და ზედა მოსლვათაგან.

იკოსი

იხილა რაჲ კრებულმან მონაზონთა ივირონელთამან შორის სუეტსა ცეცხლისასა ხატი ღმრთისა დედისაჲ, ღალადყო: ჟ, მეუფეო, ღირს მყუენ ჩუენ მიმთხვევად ხატისა დედისა შენისასა, ხოლო შენ, გაბრიელ, შევედ ზღუად და მიიქუ წიაღთა შინა საუნჯს ჩუენდა გამოცხადებული, რაჲთა გუექმნეს ჩუენ მცველად მიურულებელად, ხოლო ყოველთა ქრისტიანეთა მფარველად და სიხარულად.

გალობაი 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: ყრმანი ებრაელნი სახუმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით და შეცურეულნი ღალადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

ვსცოდეთ და ვიუსჯულოეთ წინაშე ღმრთისა, და უშჯულოებისა და სიცრუვისა თანაზიარ კიქმენით, გარნა დედოფალო ჩუენო ღმრთისმშობელო, ვითარცა სახიერმან, მკურვალთა

შუამდგომლობითა შენითა დაშრიტე ცეცხლი საღმრთოჲსა რისხჳსა, რაჲთა ვუგალობდეთ მას: მამაო ჩუენო და ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგუცვენ და დაგუფარენ ჩუენ.

საცთურებასა და ჭირთა საკუმილსა შინა, ჩუენცა, ღმრთისა დედაო, გუასხურე ცუარი მადლისა შენისაჲ, რაჲთა სირცხულეულ იქმენ მტერნი ჩუენნი და გულისკმაჰყონ ყოველთა, რამეთუ შენ მხოლოო ხარ, დედოფალო, დიდებული ყოველსა შინა ქუეყანასა.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგუცვენ და დაგუფარენ ჩუენ.

გიგალობთ, ვითარცა საყდარსა მეუფისა დიდებისასა, უპატიონსესა ქერუბიმთასა, სულიერსა ტაძარსა, რომელსა შინა დაემკვდრა უფალი, სამყაროსა ცისასა, რომლისაგან აღმობრწყინდა მჴს სიმართლისაჲ ქრისტჳს, შენ გიგალობთ, ღმრთისა დედაო, და აღგამაღლებთ უკუნისამდე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ცეცხლი საღმრთოჲ, რომელი გამოვალს ხატით შენისაჲთ, ღმრთისა დედაო, დასწვავს ბანაკსა ხატთმბრძოლთასა, და ტკბილსა ნათელსა ძლევათასა მორწმუნეთა მოგუფენს და განგვაბტკიცებს.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ ხარ სიხარული მკუდრთა უდაბნოჲსა მთაწმინდისაჲსა, და ნუგეში და სიქადული ქალაქისა ამის სამეუფოჲსაჲცა, ქალწულო მარიამ, რომელსა გიგალობთ და აღგამაღლებთ უკუნისამდე.

გალობაი 8, აკურთხევდითსა

ძლისპირი: მთასა ზედა მოსეს თანამზრახულმან მაყულოვანი სახედ გამოაჩინა, ქალწულისაგან შობილსა უვნებელად ყოველნი ვაკურთხევთ და აღგამაღლებთ მას უკუნისამდე.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგუცვენ და დაგუფარენ ჩუენ.

ყოვლადბრწყინვალისა სახისა შენისა გამოცხადებაჲ სიხარულსა მიჰვენს ყოველთა მორწმუნეთა, ქუეყანასა ჩუენსა მოანიჭებს მკველსა დაუძინებელსა და ჭირთაგან მკსნელსა, და სურნელ ჰყოფს სულთა და გონებათა ჩუენთა.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგუცვენ და დაგუფარენ ჩუენ.

გიგალობს შენ, ანგელოზთა ძალნი, აღგამაღლებს ნათესავი კაცთაჲ, ვაკურთხევს ყოველი დაბადებული, ყოვლად წმიდაო ქალწულო ღმრთისმშობელო, მიიღე აწცა ჩემძიერისა უღირსისაგან მორთმეული ესე ქებაჲ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგუცვენ და დაგუფარენ ჩუენ.

უგალობდეთ მონაზონნო ათონელნო, აკურთხევდით ივირონელნო, აღამაღლებდით ყოველი ქუეყანაჲ სახიერსა დედოფალსა, რომელი მდინარესა საკურველებათასა აღმოაცენებს საკურველთმოქმედითა ხატითა თჳსითა, ამისთჳსცა ღმრთისმშობელო, გაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანისგცემთ, გიგალობთ და აღგამაღლებთ შენ უკუნისამდე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სავანითგან ივერიისა, ყოველგნით განვენს დაუღუენელთა მადლთა ხატი შენი, ღმრთისმშობელო, ხოლო ქუეყანასა შენდა წილხვდომილად განკუთვნილსა, მარადის ჰსცევ და ჰჳარავ, მეოხებითა შენძიერთა, წინაშე ძისა და ღმრთისა შენისა, რომელსა ყრმანი აკურთხევენ, მღღელნი უგალობენ და ერნი აღამაღლებენ უკუნისამდე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

არა არს საზომი სივრცისაჲ, სიღრმისაჲ ანუ სიმაღლისაჲ, სადაცა არა მისწუთეს ძლიერი შეწევნაჲ მარჯუენისა შენისაჲ, ღმრთისა დედაო, რომლისა მოსავნი ყრმანი აკურთხევენ, მღღელნი უგალობენ და ერნი აღამაღლებენ ძესა შენსა უკუნისამდე.

გალობაი 9, აღიდებდითსა

ძლისპირი: განკურდეს ზესენელს ცანი, და კიდენი ქუეყანისანი შეძრწუნებულ იქმნეს, რაჲჲს ღმერთი შენ მიერ კაცთა გამოუბრწყინდა და საშოჲ შენი უმაღლეს ცათა საყდართა

გამოაჩინე, ამისთვის, ღმრთისმშობელო, ანგელოზნი და კაცნი, ვითარცა ღირს ხარ, გადიდებენ შენ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

სიღრმე საიდუმლოდსა შობისა შენისა განაცვიბრებს გონებასა ანგელოზთასა, ქალწულო, და ყოვლად წმიდაი ხატი შენი ეშმაკთა იოტებს, რამეთუ ვერშემძლებელნი მოხილვად ძლიერებისა, განივლტიან და დაინთქუმიან, ხოლო ჩუენ სიყუარულითა თაყუანისვსცემთ და ამბორსუყოფთ მას და შენ ღმრთისმშობელსა გადიდებთ.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

მოვედით ყოველნი, თაყუანის-ვსცეთ, შეუვრდეთ და აღვაძალლოთ დედად ღმრთისა, რომელმან მოხედვად ყო ჩუენ მდაბალთა ზედა, რომელი მშეერთა აღავსებს კეთილითა მიერ და დასდვა ჩუენთვის ალთქუმა მოწყალებათა, გამოცხადებითა საკურველისა ხატისა თვისისადათა.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო კარისაო, დაგვცვენ და დაგვფარენ ჩუენ.

აწ დააყუდე, ყოვლადწმიდაო, უბიწო ქალწულო, ზედა დასკამა უკეთურთა და განზრახუანი მათნი დაკსენ, ხოლო მართლადმსაარებელთა ერთა შორის მშუდობად და სიყუარული განაჩინე, რაათა შენზედა სასოებისა დამდებელთა არა გვრცხვენოდეს უკუნისამდე.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

საღმრთოთა გალობათა მიერ, ზ, წმიდაო პორტაიტისაო, ქალწულო ღმრთისმშობელო, ღმრთეებრივსა ხატსა შენსა თაყუანისვსცემთ, შევთხოვთ შენდობასა და კსნასა სულთა ჩუენთასა, ვითარცა თავს-მდებსა კსნისა ჩუენისასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ზ, ყოვლადწმიდაო, მოწყალეო, ქრისტეანეთა შემწეო, ვერ შემძლებელ არს ღირსად გალობად ენად კაცობრივი და ანგელოზთაცა, რამეთუ შენ ხარ ყოვლისა დაბადებულისა უპატიოსნესი და ყოვლისა ქუეყანისადათა უდიდებულესი, არამედ, ზ, დედოფალო, მიითუალე მოწყალეობითა შეწირული ესე ჩუენ მიერი ვედრება და გვკსენ ჩუენ მარადის, რამეთუ სასოება ჩუენი შენ ზედა დაგვძს.

განმანათლებელი

ყოვლად პატიოსანი ხატი შენი მიილო რად გაბრიელ წიალთა შინა თვსთა, გილადადებდა შენ, დედოფალო, ზ, ტკბილო დედაო, მეუფისა ქრისტესსო, მფარველ ექმენ სავანესა შენსა, სისხარულად ყოველთა ქრისტეანეთა და თავსმდებ საუკუნოდასა ცხორებისა.

აქებდითსა ზედა დასდებელნი. კმა 4

ზ, გამოუთქუმელსა სახიერებასა, ზ, დიდებულსა გამოჩინებასა ღმრთისა დედისა ხატისასა, რომელი ბრწყინავს საკურველებათა მიერ და განანათლებს მადლითა სარწმუნოებით მილტოლვილთა, რომელნიცა სისხარულითა შევიწყნარებთ რად წმიდასა ღმრთივერმასა, ჯერ-არს გალობით ვმადლობდეთ და პატივს ვსცემდეთ მას.

ზ, შენსა, დედოფალო, ჩუენთვის განგებულებასა, რამეთუ მოგვკლენ ჩუენ საკურველსა ხატსა შენსა და მოწყალეობითა მოგუმაღლებ მცველსა მიურულებელსა და ნუგეშსა ცხორებისა ჩუენისასა, ამისთვისცა მცნობნი შენისა პატიოსნისა საკურველებისანი, შენ გალობათა მიერ გადიდებთ.

ზ, ყოვლადდიდებული საკურველი, ვითარ ცეცხლმტურთველი ხატი, დელვათა მიერ ზღვსადათა, ვითარცა ეტლსა ზედა მიმოვალს და ბრწყინვალეთა შარავანდელთა მიერ განანათლებს გონებასა კაცთასა, ხოლო ჩუენ პატივისმცემელნი დღესასწაულისა მისისანი, გალობითა ღმრთისმშობლისა მიმართა აღვაკლენთ დიდებასა.

ზ, დედათა შორის კურთხეულო, ღმრთისმშობელო მარიამ, ვითარცა ძუელად აჩუენე საკურველი მფარველობად ერსა ჩუენსა, ეგრეთვე აწცა ნუ დაგვიწყებ, და ამოთა ჰყვენ საშინელნი მზაკუვარებანი მათნი, რომელნი უკეთურთა და ამოთა ილუწიან სავნებელად ერისა ჩუენისა, აღრჩეულისა შენ მიერ, ვითარცა საკუთარისა.

თქმულნი შენნი, რომელ აღმოთქუ, უხრწნელო, წილხვედრებულთა შენთათჳს, აღასრულე, ვითარცა მოწყალემან, და ნუ მისცემ სამკუდრებელსა ჩუენსა საყუედრელად მტერთა, არამედ მოჰფინე ნათესავსა ჩუენსა მოწყალეხანი შენნი და გვექმენ დედად ჩუენდა, რამათა გულისკმაჰყონ ყოველთა, რამეთუ ნაწილ შენდა ვართ ჩუენ ნათესავი ქართველთაჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აღმასრულებელი ბრძანებათა შენთაჲ, ღმრთისა დედაო, ღირსი გაბრიელ ფერხითა დაულტოლველითა ვიდოდა წყალსა ზედა ზღვსათა და მიიქუა რაჲ წმიდაჲ ხატი შენი, განაწყო გუნდნი და დღესასწაული მმარხუელთა თანა ათონისაჲთა განაწყესა, რომლითა ჩუენცა განკურვებულნი ვუღალადებთ პირველ მიზეზსა: დიდებაჲ შენდა, მოქმედო საკურველებისაო, მხოლოო მეუფეო და ღმერთო ჩუენო, მეოხებითა ღმრთისმშობლისაჲთა დაიცევ ერთი ჩუენი, რომელი გამოირჩიე და ძლევაჲ მტერთა ზედა მიჰმადლე მას, ვითარცა ყოვლად ძლიერმან.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიდებაჲ მაღალი გრძლად და განტევებაი.

ლიტურდიასა ზედა: იძიე 8 სექტემერს

1867 წელს გადმოთარგმნილი ივერიის ღმრთისმშობლის სლავეური დაუჯდომელიდან პეტერბურგში, იმერთ თავადის ირაკლი (იოსებ) ლორთქიფანიძის (საჩინოელის) მიერ.

სადღესასწაულო წეს-განგება გადააბუშავა და შეავსო: მედავითნე თინათინ მჭკელიშვილმა.